ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია

მსხვერპლის უფლებები

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE



ადამიანებით ვაჭრობა არღვევს ადამიანთა უფლებებს და ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ ქვეყნებში. სულ უფრო და უფრო იზრდება იმ ქალთა, ბავშვთა და მამაკაცთა რაოდენობა, რომელთაც როგორც საქონელს ისე ჰყიდიან საზღვრებს გარეთ ან თავიანთ ქვეყანაშივე და ეს ადამიანე ბი ექსპლუატაციისა და ცუდი მოპყრობის მახეში ებმებიან.

ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია, რომელიც ძალაში 2008 წლის 1 თებერვალს შევიდა, მიზნად ისახავს შემდეგს:

- მოხდეს ტრეფიკინგის პრევენცია;
- დაცული იქნან ტრეფიკინგის მსხვერპლნი;
- დაიწყოს სამართლებრივი დევნა ტრეფიკინგში ჩართულ დამნაშავეთა წინააღმდეგ; და
- ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა მიერ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელებას და საერთაშორისო თანამშრომლობას.

კონვენცია ვრცელდება შემდეგზე:

- ტრეფიკინგის ყველა ფორმა, იქნება ეს ნაციონალური თუ ტრანს-ნაციონალური, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული თუ არ-დაკავშირებული;
- ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლი (ქალები, მამაკაცები და ბავშვები);
- ექსპლუატაციის ყველა ფორმა (სექსუალური, იძულებითი შრომა ან მომსახურების გაწევის იძულება, მონობა, ყმობა, ორგანოების ამოღება და სხვა).

კონვენციის ერთერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კონვენციაში აქცენტი გაკეთებულია ადამიანის უფლებებსა და მსხვერპლთა დაცვაზე. კონვენციაში ტრეფიკინგი განსაზღვრულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ადამიანის ღირსების შეურაცმყოფელი ქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს პასუხი მოეთხოვებათ თუ ისინი შესაბამის ზომებს არ მიიღებენ ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასაცავად და ტრეფიკინგის შემთხვევების ეფექტიანად გამოსაძიებლად.

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მთელს მსოფლიოში გავრცელებული მოვლენაა, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები. სწორედ ამიტომ, კონვენცია აქტუალურია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის და ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია მასთან შეერთება.

რა არის ტრეფიკინგი / ადამიანებით ვაჭრობა?

კონვენციაში ადამიანებით ვაჭრობა განსაზღვრულია, როგორც შემდეგი სამი ელემენტის კომბინაცია:

- **ქმედება:** ექსპლუატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაცემა, თავშესაფრის მიცემა ან მიღება;
- **გარკვეული საშუალებების გამოყენება:** მუქარის ან ძალის ან იძულების სხვა ფორმების გამოყენებით, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე;
- **მიზანი-ექსპლუატაციია:** ექსპლუატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით, მოიცავს სხვა პირთა ექსპლოატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, ყმობას ან ორგანოების ამოცლას.

რა განსხვავებაა ტრეფიკინგსა და ადამიანთა კონტრაბანდულ გადაყვანას შორის?

ადამიანთა გადაყვანა კონტრაბანდული გზით მიზნად ისახავს საზღვრის უკანონო გადაკვეთას ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებელის მიღების მიზნით პირდაპირ ან ირიბად, ხოლო ტრეფიკინგის მიზანს ადამიანთა ექსპლუატაცია წარმოადგენს. უფრო მეტიც, ტრეფიკინგისას საზღვრის გადაკვეთა სავალდებულო არ არის, ტრეფიკინგის შემთხვევებს შეიძლება ქვეყნის ფარგლებს შიგნითაც ჰქონდეს ადგილი.

ვინ არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი?

ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება ნებისმიერი ადამიანი გახდეს - ქალი, მამაკაცი და ბავშვი, ნებისმიერი ასაკისა და ნებისმიერი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი. ის ადამიანები, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან, შეიძლება იძულებულნი გახადონ გასწიონ სექსუალური მომსახურება, იმუშაონ მცირე ანაზღაურების ან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მოახდინონ მათი ორგანოების ამოღება. ძალიან ხშირად, ექსპლუატაციას თან ახლავს ფიზიკური და ემოციური ძალადობა ან მუქარა მსხვერპლის ან მისი ნათესავების მისამართით.

კონვენციის მიხედვით, ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება ადამიანი, რომელიც იქნა დაქირავებული, ტრანსპორტირებული, გადაცემული, დამალული ან მიღებული ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მუქარის, იძულების, მოტყუების, დაშინების ან სხვა არალეგალური საშუალებებით მისი ექსპლუატაციის მიზნით.

ბავშვი ითვლება ტრეფიკინგის მსხვერპლად მიუხედავად იმისა თუ რა მეთოდი გამოიყენეს მისი ტრეფიკინგში ჩაბმის, ტრანსპორტირების, გადაცემის, დამალვის თუ მიღების მეთოდისა, თუ ეს მისი ექსპლუატაციის მიზნით განხორციელდა.

ის, რომ ადამიანმა შესაძლოა „თანხმობა“ განაცხადა ექსპლუატაციაზე არალერევანტური არგუმენტია მაშინ, როდესაც მის წინააღმდეგ იძულების რაიმე ფორმა არის გამოყენებული (მუქარა, მოტყუება, დაუცველი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). უფრო მეტიც, ადამიანი მსხვერპლად ჩაითვლება მაშინაც კი თუ ექსპლუატაცია ჯერ არ განხორციელებულ, მაგრამ ეს ადამიანი უკვე გახდა რომელიმე ზ.ა. მეთოდის გამოყენების ობიექტი.

როგორია ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებები კონვენციის მიხედვით?

მსხვერპლთა იდენტიფიკაცია

ტრეფიკინგის მსხვერპლთა ოფიციალური იდენტიფიცირება აუცილებელია, რათა მათ მიმართ არ იქნას გამოყენებული იგივე მიდგომა, რომელიც არარეგულარული მიგრანტების ან კრიმინალების მიმართ გამოიყენება. მსხვერპლის იდენტიფიკაცია უნდა განახორციელონ სპეციალური განათლების და კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებმა (როგორებიცაა პოლიციელები, სოციალური მუშაკები, შრომის ინსპექტორები, ექიმები, დახმარების გამწევნი და სხვა), რომლებმაც იდენტიფიცირების პროცესში უნდა დაიცვან წინასწარ შეთანხმებული პროცედურები და იდენტიფიცირების კრიტერიუმები.

ზეგავლენის დაძლევისა და გამორკვევის პერიოდი

მსხვერპლს, მანამდეც კი სანამ იგი ოფიციალურად იქნება მსხვერპლად იდენტიფიცერებული, აქვს უფლება მისცენ მინიმუმ 30 დღე ზეგავლენის დაძლევისა და გამორკვევისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება კომპეტენტურ ორგანიებთან თანამშრომლობის შესახებ. ამ პერიოდის განმავლობაში, არ შეიძლება გამოცემულ იქნას განკარგულება ამ პირების გაძევების შესახებ და მათ უფლება აქვთ მიიღონ დახმარება იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებიან.

დახმარება

მიუხედავად იმისა აცხადებს თუ არა მსხვერპლი მზაობას ითანამშრომლოს სისხლის სამართლის გამოძიებასთან ან გამოვიდეს მოწმის რანგში, მას უფლება აქვს მიიღოს შემდეგი:

- სათანადო და უსაფრთხო საცხოვრებელი
- ფსიქოლოგიური დახმარება
- მატერიალური დახმარება
- წვდომა სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე
- თარჯიმნისა და მთარგმნელის მომსახურება
- კონსულტაციები და ინფორმაცია
- დახმარება სისხლის სამართლის პროცესის დროს
- ხელი მიუწვდებოდეს შრომის ბაზარზე, პროფესიულ ტრენინგებსა და განათლებაზე, თუ იგი ლეგალურად ცხოვრობს ქვეყანაში.

იურიდიული დახმარება

ტრეფიკინგის მსხვერპლებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე. გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ მიიღონ იურიდიული დახმარება და ადვოკატის უფასო მომსახურება კონკრეტული პირობების არსებობის შემთხვევაში.

ცხოვრების ნებართვა

მსხვერპლზე შეიძლება გაიცეს ცხოვრების განახლებადი ნებართვა, თუ მათი პირადი მდგომარეობა ამას მოითხოვს ან თუ მათი ქვეყანაში დარჩენა საჭიროა ტრეფიკინგის დანაშაულის გამოსავლენად მიმდინარე გამოძიებაში ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მიზნით. ის, რომ მათ აქვთ ცხოვრების ნებართვა არ ნიშნავს იმათ, რომ მათ აღარ აქვთ თავშესაფრის ძიების უფლება.

პირადი ცხოვრებისა და ვინაობის დაცვა

მსხვერპლის პირადი მონაცემები არ უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი და შეიძლება შენახული იქნას მხოლოდ კონკრეტული კანონიერი მიზნებისათვის. ეს მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთნაირად, რომ შესაძლებელი გახდეს მსხვერპლის იდენთიფიცირება.

დაცვა გამოძიებისა და სასამართლო პროცესის განმავლობაში

მსხვერპლი და მათი ოჯახის წევრები, როცა ეს აუცილებელია, უზრუნველყოფლნი უნდა იქნან დაცვით პოტენციური შურისმაძისა და მუქარისაგან ადამიანებით მოვაჭრეთა მხრიდან. ასეთ დაცვაში იგულისხმება ფიზიკური დაცვა, სხვა ადგილზე დასახლება, ვინაობის შეცვლა და დასაქმებაში ხელშეწყობა.

კომპენსაცია

ტრეფიკინგის მსხვერპლებს უფლება აქვთ მიიღონ ფინანსური კომპენსაცია იმ ზიანის სანაცვლოდ, რომელიც მათ განიცადეს ადამიანებით მოვაჭრეთა ხელში ყოფნის პერიოდში. ამ კომპენსაციის მინიჭების შესახებ შეიძლება გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლომ ადამიანებით მოვაჭრეთა ქონების კონფისკაციის შემდეგ ან ეს კომპენსაცია შეიძლება გადაიხადოს იმ სახელმწიფომ, რომელშიც მოხდა ექსპლუატაცია.

რეპატრიაცია და დაბრუნება

მსხვერპლის დაბრუნება თავის წარმოშობის ქვეყანაში უნდა მოხდეს ისე, რომ დაცული იყოს მისი უფლებები, უსაფრთხოება და ღირსება და გათვალისწინებული იქნას ამ საქმესთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი სამართლებრივი პროცედურის სტატუსი. დაბრუნებისთანავე, მსხვერპლს უნდა შესთავაზონ დახმარება რეინტეგრაციაში, ანუ დახმარება განათლების მიღებასა და სამუშაოს პოვნაში.

როგორია ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა განსაკუთრებული უფლებები?

გარდა ზემოთ აღნიშნული უფლებებისა, რომლებიც ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლზე ვრცელდება, ბავშვები სარგებლობენ შემდეგი განსაკუთრებული უფლებებით:

- უპატრონო ბავშვებს უნდა დაენიშნოთ მეურვე, რომელიც იქნება მათი წარმომადგენელი და იმოქმედებს ბავშვთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე;
- მიღებული უნდა იქნას ზომები ბავშვიების ვინაობისა და მოქალაქეობის დადგენის მიზნით და თუ ეს მათ საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს, მოძიებული იქნას ამ ბავშვების ოჯახები;
- როდესაც ბავშვის ასაკი გაურკვეველია, მაგრამ არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ მსხვერპლი 18 წლის ასაკამდეა, იგი უნდა ჩაითვალოს ბავშვად და მიეცეს ბავშვისათვის გათვალისწინებული დაცვლის ყველა საშუალება მანამდეც, სანამ მისი ასაკი საბოლოოდ არ დადგინდება;
- ბავშვებს უფლება აქვთ ხელი მიუწვდებოდეთ განათლებასა და დახმარების ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ საჭიროებებს ითვალისწინებს;
- ბავშვების დაბრუნებამდე აუცილებელია რისკის და უსაფრთხოების შეფასება, რაც განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება;
- ბავშვები უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ განსაკუთრებული დაცვით გამოძიებისა და სასამართლო პროცესის განმავლობაში.

მონიტორინგი კონვენციის განხორციელებაზე

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი - GRETA რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებს ყველა იმ ქვეყანაზე, რომელთაც ხელი მოაწერეს ევროპის საბჭოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციას. GRETA-ს როლი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს კონვენციის დებულებების ეფექტური შესრულება და მსხვერპლა უფლებების დაცვა.

GRETA აანალიზებს სიტუაციას თითეულ ქვეყანაში, ამზადებს ანგარიშებს, რომლებშიც გამოკვეთილია კარგი პრაქტიკის შემთხვევებიც და არსებული ხარვეზებიც, შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაუმჯობესდეს კონვენციის განხორციელება თითოეულ ქვეყანაში. ეს ანგარიშები და რეკომენდაციები შემდგომში საჯაროდ ხდება ხელმისაწვდომი და ქვეყნდება ევროპის საბჭოს ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ინტერნეტ გვერდზე.

კონტაქტებისა და შემდგომი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის სამდივნო (GRETA და მხარეთა კომიტეტი)
ევროპის საბჭო / Council of Europe
F-67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი / France
E-mail: Trafficking@coe.int

www.coe.int/trafficking

THB–INF (2013)2

PREMS 227113 – GEO – © Conseil de l'Europe – Photographies © Shutterstock